საკონკურსო განცხადება

მცხეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს- მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მუხადგვერდიდან, ცენტრალური გზიდან ქ. მცხეთის, ფარნავაზის მოედნამდე გარე განათების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე.

კონკურსის პირობები

1. ორი ერთეული სატრანსფორმატორო ქვესადგურის დამონტაჟება მაღალი ზაბვის აღრიცხვის კვანძით:

   –ქვესადგურ „ზაპესი-35" დან (ფიდერი №1, რეაქტორი) გამომავალ 6 კვ-ის მაღალი ძაბვის გამთიშველით რესტორან "თამარიანი"-ს მიმდებარე ტერიტორიაზე

   –რკინიგზის გრძივი 10 კვ-ის ხაზზე რესტორან „მწვანე კონცხი"-ს მიმდებარე ტერიტორიაზე მაღალი ძაბვის საპაერო გამთიშველით.

სატრანსფორმატორო ქვესადგურების დასამონტაჟებლად მცხეთის მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს ელ. ენერგიის მომწოდებელი ორგანიზაციიდან (სს „ენერგო პრო ჯორჯია") ტექ. პირობების გაცემა და მიღება.

აღნიშნულის შემდეგ საპროექტო ორგანიზაციის მიერ:

1. შესრულდება სატრანსფორმატორო ქვესადგურების დასამონტაჟებლად საჭირო პროექტი, რომელიც ასევე შეთანხმდება ელ. ენერგიის მომ წოდებელ ორგანიზაციასთან (სს „ენერგო პრო ჯორჯია")
2. დაზუსტდება გარე განათების საყრდენი ანძების განთავსების ადგილი საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენელტან ერთად
3. შეირჩევა გარე განათების საყრდენი ანძების ფორმა
4. შეირჩევა გარე განათების ლამპიონების ფორმა და სიმძლავრე
5. გაანგარიშდება ელ. გადამცემი ხაზის სიგრძე, კვეთი და შეირჩევა ტიპი.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას კონკურსანტი პირის მიერ გათვალისწინებული უნდა იქნეს:

საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის კონკურსანტი პირი იხდის საფასურს -50 ლარს შემდეგ ანგარიშზე:
ს.ს ბანკ „რესპუბლიკის" ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: 220101757
მიმღები: ს.ს.ი.პ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
მიმღების ანგარიში №10591718543

საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

1. გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
2. შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.
3. კონკურსის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.
4. საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

ზემოაღნიშნული მონაცემების დარღვევით გაცემული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში კონკურსანტი პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას. საკონკურსო წინადადების წარდგენის ვადებია გამოქვეყნებიდან 3 სამუშაო დღე, ხოლო წინადადების გახილვიდან 2 სამუშაო დღეში უნდა წარმოადგინონ „წინა ესკიზური პროექტები", საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საკონკურსო წინანადების ფასი, საბოლოოდ საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს 4 ეგზემპლარად და ელექტრონული ვერსია, ხოლო გამარჯვებულმა კონკურსანტმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 დღეში წარმოადგინოს დასრულებული პროექტი.

საკონკუსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს ზემოთმითითებული პირობებით გათვალისწინებულ საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების საერაუდო ღირებულებაა 7 000 (შვიდიათასი) ლარი, ხოლო სამშენებლო სამუშაოების ღირებულებაა 310 000 (სამას ათი ათასი) ლარი.

მის: მცხეთის მუნიციპალიტეტი, ქ. მცხეთა დ. აღმაშენებლის №73
ტელ: 51-26-96